სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კავკასიოლოგია
პროგრამა შედგება 3 მოდულისაგან:

- იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება (აფხაზურ–ადირეული, ნახური, დაღესტნური)
- პალეოკავკასიური და ასეალური ლინგვისტიკა (ბასკური, მცირე აზიის უძველესი ენები, ოსური, აზერბაიჯანული)
- კავკასიის ხალხთა ისტორია.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: კავკასიოლოგიის მაგისტრი / MA in Caucasian Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ცირა ბარამიძე, სრული პროფესორი ჯონი კვიციანი.

პროგრამის ანალოგები: პროგრამას ანალოგი არ აქვს

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზნები - პროგრამის მიზანია მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, აგრეთვე ქართულის მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენების, კავკასიაში გავრცელებულ არაიბერიულ-კავკასიურ ენათა და კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მცოდნე მკვლევარი კავკასიოლოგების მომზადება.
ქართველურ ენათა სრულყოფილად კვლევა შეუძლებელია მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიური (აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური) ენების გათვალისწინების გარეშე და, პირიქით, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სრულყოფილად კვლევისათვის აუცილებელია, მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართული ენისა და მის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება. კავკასიაში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გვერდით ისტორიულად სხვადასხვა ეპოქაში შემოვიდა და დამკვიდრდა სხვა ოჯახის ენები, ამიტომ კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის პარალელურად მიზნად ისახავს არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან ოსურისა და აზერბაიჯანულის შესწავლასა და კვლევას.
ქართული ფოლკლორის, ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის კვლევა წარმოუდგენელია კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორის, ისტორიისა და კულტურის მონაცემთა გაუთვალისწინებლად და, პირიქით, სხვა კავკასიელ ხალხთა ფოლკლორი, ისტორია და კულტურა სრულყოფილად ვერ იქნება გამოკვლეული ქართულ ფოლკლორთან, საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურასთან დაუკავშირებლად და ქართულ წერილობით წყაროთა ცნობების გათვალისწინების გარეშე.
ბ) პროგრამის შედეგები
"იბერიულ-კავკასიური ენების" სასპეციალიზაციო მოდულზე სწავლის შედეგად ახალგაზრდა მკვლევარს პრაქტიკულად **B1** დონეზე ეცოდინება ერთ-ერთი ძირითადი მთის იბერიულ-კავკასიური ენა. შესძლებს ამ ენაზე მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგებას, თავისი გამოცდილებისა და ტიპური მოვლენების აღწერას. მაგისტრანტი გაეცნობა რამდენიმე მონათესავე ენის სტრუქტურისა და ისტორიის იმ სპეციფიკურ თავისებურებებს, რომლებიც არ ისწავლება ბაკალავრიატის დონეზე; შეისწავლის

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ განსხვავებულ თვალსაზრისებს; გამოიმუშავებს ამ თვალსაზრისთა ობიექტური შეფასების, კონკრეტული ენობრივი მასალის მოპოვების, სისტემატიზაციისა და სწორი მეთოდოლოგიით ანალიზის ჩვევებს; შეითვისებს დასკვნათა არგუმენტირებისა და საჯაროდ წარმოდგენის უნარ-ჩვევებს.

გ) დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის ათვისების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტს შეეძლება იმუშაოს იმ
სკოლების დაწყებით კლასებში (პედაგოგიკაში სათანადო რაოდენობის კრედიტების მიღების
შემდეგ), სადაც ისწავლება კონკრეტული კავკასიური ენა, კურსდამთავრებულს უფლება ექნება, იმუშაოს სამთავრობო სტრუქტურებში, მასმედიაში, სამთავრობო და არასამთავრობო
სტრუქტურებში, ტურიზმში და ა.შ.

დ) სწავლის გაგრძელების საშუალება

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე PHD (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების მსურველ მაგისტრს უფლება ექნება სწავლა განაგრძოს კავკასიოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობების სადოქტორო პროგრამებზე ნებისმიერი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი სპეციალობით.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერი ჰუმანიტარული, სოციალური ან პოლიტიკური მეცნიერების დარგში;
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- პროგრამაზე მისაღები გამოცდა – კავკასიოლოგიის შესავლის საკითხები.

კვლევითი კომპონენტი

მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა შემდეგი ზოგადი თემატიკის ფარგლებში:

1. იკე-თა ნათესაობის პრობლემატიკა;
2. იკე-თა სამეცნიერო შესწავლის ისტორიის საკითხები;
3. ცალკეულ ენათა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, სემანტიკური ველები;
4. ენათა ჯგუფების აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი;
5. არაიბერიულ-კავკასიურ ენათა (ოსური, აზერბაიჯანული) სისტემა-სტრუქტურის საკითხები, არეალური ლინგვისტიკის პრობლემატიკა კავკასიაში;
6. პალეოკავკასიური ენათმეცნიერების საკითხები;
7. კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემატიკა პრობლემები (ცალკეულ რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
8. ხალხთა მიგრაციის ისტორია (კავკასიის რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
9. ცალკეულ ეთნოსთა თუ ეთნოსთა ჯგუფების ეთნოგენეზისის პრობლემები;
10. კავკასიის ხალხთა შიდა და გარე პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია (რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
11. კავკასიის ხალხთა სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის საკითხები.

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო-კვლევით ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიები, კავკასიოლოგიის ინსტიტუტის, არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკები, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, არნ. ჩიქობავას სახელობის კაბინეტ-მუზეუმი.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
პროგრამის საკვალიფიკაციო დისციპლინები			
	იბერიულ –კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი)	სავალდებულო	15
	კავკასიის არეალური ლინგვისტიკა (კომპარატივისტიკა, ტიპოლოგია, ენობრივი კონტაქტები)	სავალდებულო	5
	კავკასიის გეოპოლიტიკა და რეგიონალიზაცია	სავალდებულო	5
	საზოგადოებრივ – პოლიტიკური პროცესები თანამედროვე კავკასიაში	სავალდებულო	5
აფხაზურ – ადიღურ ენათა ქვემოდული (45 კრედიტი)			
	ერთ-ერთი ენა: აფხაზური ენა/ ადიღეური ენა	სავალდებულო	15
	აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	აფხაზური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	ადიღეური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	აფხაზურ-აბაზურ ენათა დიალექტოლოგია	სავალდებულო	5
	ადიღურ ენათა დიალექტოლოგია	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი ნახურ-დაღესტნური ენა (შერჩევით)	სავალდებულო	5
ნახურ ენათა ქვემოდული (45 კრედიტი)			

	ერთ-ერთი ენა: ჩეჩნური ენა / ინგუშური ენა/ ბაცბური (წოვა-თუშური) ენა	სავალდებულო	15
	ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	ჩეჩნური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	ინგუშური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	ბაცბური (წოვა-თუშური) ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	ჩეჩნური დიალექტოლოგია	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი აფხაზურ-ადიღური ენა	სავალდებულო	5
დაღესტნურ ენათა ქვემოდული (45 კრედიტი)			
	ერთ-ერთი ენა: ხუნძური ენა / თაბასარანული ენა/ უდიური ენა / ლაკური ენა.	სავალდებულო	15
	ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	თაბასარანული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	უდიური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	ხუნძური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	კავკასიის ალბანური (დამწერლობისა და ენის სტრუქტურის საკითხები)	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი აფხასურ-ადიღური ან ნახური ენა	სავალდებულო	5
პალეოკავკასიური ქვემოდული (45 კრედიტი)			
	ბასკურ-კავკასიური ლინგვოკულტუროლოგიური ურთიერთობები	სავალდებულო	5
	ბასკურ-კავკასიური ეთნოლინგვისტიკა	სავალდებულო	5
	წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ძველი ენები.	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი იბერიულ კავკასიური ენა	სავალდებულო	15
	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5

	აფხაზურ-ადიღურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	ნახურ-დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
ოსური ენის ქვემოდული (45 კრედიტი)			
	ოსური ენა	სავალდებულო	
	ოსური ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	
	ოსური ენის დიალექტოლოგია	სავალდებულო	
	ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	
	კავკასიური სუბსტრატი ოსურ ენაში	სავალდებულო	
	ერთ-ერთი ნახურ-დაღესტნური ენა	სავალდებულო	
	ერთ-ერთი აფხაზურ-ადიღური ენა	სავალდებულო	
აზერბაიჯანული ენის ქვემოდული (45 კრედიტი)			
	აზერბაიჯანული ენა	სავალდებულო	15
	აზერბაიჯანული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	სავალდებულო	5
	აზერბაიჯანული ენის დიალექტოლოგია	სავალდებულო	5
	თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო	5
	აზერბაიჯანის რელიქტური ენები (მიმოხილვითი კურსი)	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი ნახურ-დაღესტნური ენა	სავალდებულო	5
	კავკასიის ალბანური (დამწერლობისა და ენის სტრუქტურის საკითხები)	სავალდებულო	5
	კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა (თეორიული ძიებანი და შესწავლის პრობლემები)	სავალდებულო	5
	კავკასიის ხალხთა კულტურული (სოციალური) ანთროპოლოგია	სავალდებულო	5
	ძალადობის ანთროპოლოგია (კავკასიის მაგალითზე)	სავალდებულო	5
	ისტორიის მეთოდოლოგია	სავალდებულო	10
	კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	5
	კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზი	სავალდებულო	5

	(თეორიული პრობლეგემი)		
	რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვის ისტორია კავკასიაში XVIII-XIX სს.	სავალდებულო	5
	ერთ-ერთი კავკასიური ენა	სავალდებულო	5
	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
	. კავკასიური ეთნო-ლინგვისტიკა და ეთნოტოპონიმიკა	არჩევითი	5
	კავკასიის ენათა ფუნქციონერების საკითხები	არჩევითი	5
	რუსული ენის ფუნქციური გრამატიკა	არჩევითი	5
	მიგრაციები და დიასპორათა ინტრეგრაციის პრობლემები კავკასიაში	არჩევითი	5
	საქართველო კავკასიის ეთნოპოლიტიკურ და ეთნოკულტურულ სივრცეში ანტიკური ხანიდან XIX საუკუნემდე	არჩევითი	5
	რუსეთის დიპლომატია XIX-XXI საუკუნეებში	არჩევითი	5
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა სპეციალობაში ჩატარდება წერითი სახით. წერითი ნამუშევარი შეფასდება 100 ბალიანი სისტემით.

საგამოცდო საკითხები

ისტორია

1. სახელმწიფოები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები კავკასიაში (ანტიკური ხანა)
2. გაერთიანებული კავკასია XI-XII სს; ნათესაური ერთობა თუ ძალდატანებითი კავშირი?
3. რუსეთ-კავკასიის ომი 1817-1864 წწ.
4. პოსტსაბჭოთა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პრობლემები
5. ლეონტი მროველის (XIს.) კონცეფცია ქართველი და კავკასიელი ხალხების შესახებ.
6. საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობები გვიანდელ შუასაუკუნეებში.

7. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში XIXს. –XX საუკუნის 20-იანი წწ.
8. საქართველო მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-1945წწ.)
9. კავკასიის ხალხთა კულტურის ურთიერთქმედება ბერძნულ კოლონიებთან შავიზღვისპირეთში.
10. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოსა და კავკასიაში
11. შამილის იმამათი (1834-1859)
12. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პოლიტიკური ვითარება 1918-1921 წწ.
13. ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა.
14. გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობა.
15. მეორე მსოფლიო ომში რეპრესირებულ ხალხთა პრობლემა კავკასიაში.
16. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს. პოლიტიკური კონფლიქტები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

ლიტერატურა

საკითხების მომზადებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

1. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი.
2. მორფოლოგიის ძირითადი პრონციპები იბერიულ-კავკასიურ ენებში. გრამატიკული კლასის კატეგორია და მისი მიმართება გრამატიკული სქესის კატეგორიასთან.
3. იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის მორფოლოგია: კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღვლილება.
4. ნ. მარის იაფეტური თეორიის კავკასიოლოგიური ეტაპი
5. იბერიულ-კავკასიურ ენათა აღსანიშნავად ხმარებული ტერმინები და ამ ოჯახის ენათა დაჯგუფების საფუძვლები.
6. ხმოვანთა სისტემა იბერიულ-კაკასიურ ენებში.
7. ორფუძიანი ბრუნების პრინციპი იბერიულ-კავკასიურ ენებში.
8. მთის იბერიულ-კავკსიურ ენათა პირველი გრამატიკები.
9. იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის ზოგადი ტიპოლოგიური დახასაიათება. ამ ენათა სისტემა ამჟამად და ძველად.
10. გრამატიკული კლასის ისტორია ნახურ-დაღესტნურ, აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენებში.
11. თანდებულიანი ბრუნვები ქართულსა და მთის კავკასიურ ენებში.
12. ფრ. მიულერი კავკასიურ ენათა განკერძოებულობის შესახებ.
13. იბერიულ-კავკასიურ ენათა ვოკალიზმის ისტორია.
14. კონსონანტიზმის განვითარების ზოგადი ტენდენციები იბერიულ-კავკასიურ ენებში.
15. იბერიულ-კავკასიურ ენათა სახელის მორფოლოგია, ბრუნვის კატეგორია, ბრუნვათა შედგენილობა და ბრუნების პროცესი.
16. ნ. მარის იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური ეტაპი.

ლიტერატურა: არნოლდ ჩიქობავას იბერიულ კავკსიური ენთმეცნიერების შესავალი, 1979

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელებს: სრულ პროფესორ ცირა ბარამიძეს ტელეფონზე: 384935, სრულ პროფესორს ჯონი კვიციანს